



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი



KA100150296652417

17 / თებერვალი / 2017 წ.

№ 12/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტისა და საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ

„საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს N219 დადგენილებისა და საქართველოს ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის 2001 წლის 15 თებერვლის N5 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის დებულების“ მე-13 პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე:

1. დამტკიცდეს საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტი, დანართი N1 - ის შესაბამისად.
2. დამტკიცდეს საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესი, დანართი N2 - ის შესაბამისად.
3. დაევალოს ადამიანური რესურსებისა და საქმისწარმოების სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელს, ნ. შეყლაშვილს, ამ ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობა.
4. ამ ბრძანების შესრულების კონტროლი საკურატორო სფეროების მიხედვით დაევალოს დირექტორის მოადგილეებს.
5. ეს ბრძანება ამოქმედდეს 2017 წლის 20 თებერვლიდან.
6. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6), მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

დანართი: 9 (ცხრა) ფურცელი.

დირექტორი

ირაკლი ჟორჟოლიანი

V